დანართი

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების 2024 წლის პროგრამა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.პროგრამის ამოცანაა „ბავშვის უფლებათა კოდექსით“ განსაზღვრული ოჯახის/ბავშვის მხარდამჭერი ღონისძიების განხორციელება, რომლის მიზანია ბავშვის მიტოვების ან ოჯახისგან განცალკევების პრევენცია, სიღატაკეში ან/და კრიზისში მყოფი ბავშვიანი ოჯახების პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილება და ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის ხელშეწყობა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 2024 წლის 1-ელი იანვრიდან - 2024 წლის 31 დეკემბრამდე;

3. პროგრამის ბიუჯეტი : 20 000 (ოცი ათასი) ლარი;

4. პროგრამის დაფინანსების წყარო თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი;

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია;

მუხლი 2. პროგრამის ღონისძიებები

პროგრამის მიზანია, დაეხმაროს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ სამიზნე ჯგუფს საყოფაცხოვრებო ტექნიკის , ჰიგიენური საშუალებების, საკანცელარიო (მათ შორის სახელმძღვანელოები) და სხვადასხვა პირველადი საჭიროების მქონე ნივთების შეძენაში.

მუხლი 3. პროგრამის სამიზნე ჯგუფი

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის შეფასების საფუძველზე, გამოკვეთილი თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვიანი შემდეგი ოჯახები:

ა) ოჯახები, რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი ბავშვი;

ბ) მიტოვების რისკის მქონე ბავშვიანი ოჯახები;

გ) ოჯახები, რომელთაც ჰყავთ შშმ ბავშვი/ბავშვები;

დ) ობოლი ბავშვები;

ე) ბავშვები, რომელთაც ჰყავთ შშმ მშობლები;

ვ) მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე სოციალურად დაუცველი ბავშვიანი ოჯახები.

მუხლი 4. დაფინანსება

ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის მიერ გამოვლენილი საჭიროების მქონე ბავშვიანი/ბავშვებიანი ოჯახები, რომლებიც საჭიროებენ მხარდაჭერას პროგრამის ფარგლებში მიეცემათ არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარის ფინანსური დახმარება წელიწადში ერთჯერადად.

მუხლი 5. პროგრამის ადმინისტრირების წესი

1. მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულ განცხადებებს (ინფორმაციას) განიხილავს ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება;

2. ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის შეფასების დოკუმენტის ინტერდისციპლინარული განხილვის საფუძველზე წარმოდგენილ სამოქმედო გეგმას ან/და საჭიროებების შეფასების (სკრინინგის) დოკუმენტს განიხილავს მერის ბრძანებით შექმნილი კომისია და შეიმუშავებს მერის სახელზე რეკომენდაციას;

3. კომისიის რეკომენდაცია შემდგომი რეაგირების მიზნით გადაეცემა ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებას, რომელიც კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, ამზადებს ფინანსური დახმარების გაცემის შესახებ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტს;

მუხლი 6 . დახმარების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია

ა) ბავშვის/ბავშვების დაბადების მოწმობა/მოწმობები;

ბ) მშობლის/ბავშვის შშმ სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

გ) მშობლის/მშობლების გარდაცვალების დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) მშობლის საბანკო ანგარიშის ნომერი;

ე) მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე სოციალურად დაუცველმა ბავშვიანმა ოჯახებმა , მარტოხელა მშობლის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი და ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან.

მუხლი 7. პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრები საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების გაძლიერებას და ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდა-განვითარებას.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი